სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2010 წლის 19 ნოემბერი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 თებერვლის №20 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზ. ზედელაშვილი**

დანართი №1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებას, ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.
2. სამსახურის დებულებას, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გამგებლის წარდგინებით, ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.
3. სამსახურს აქვს შესაბამისი ბლანკი და ბეჭედი თავისი დასახელებით.
4. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.
5. სამსახურის ადგილსამყოფელია სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის მოედანი №2

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ”, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საკრებულოსა და მისი თავმჯდომარის სამართლებრივი აქტები, გამგეობის დებულება და წინამდებარე დებულება.

2. სამსახურის საქმისწარმოების, დოკუმენტაციის აღრიცხვისა და მოძრაობის, მათი შესრულების კონტროლის მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, დამტკიცებული საქმისწარმოების წესითა და გამგებლის სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სიღნაღის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მოკლე, და საშუალოვადიანი ეკონომიკური პროგნოზირება, სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება;

ბ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადების უზრუნველყოფა;

გ) მშენებლობის ნებართვის გასაცემად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და გამგებლისთვის წარდგენა;

დ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არქიტექტურულ-სამშენებლო სტრატეგიის შემცველობის მქონე დოკუმენტაციის შესწავლა და გამგებლისთვის წარდგენა;

ე) განსახორციელებელი გეგმარებითი პროექტების, საბინაო, სამოქალაქო, სამრეწველო, საინჟინრო და საკომუნიკაციო ნაგებობებისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის, საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარების წინადადებების შეთანხმება;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა;

ზ) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამუშავებაში მონაწილეობის მიღება;

თ) მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის დოკუმენტაციის პროექტების მომზადება;

ი) ადგილობრივი ქონების გამოყენების მონიტორინგი და მათი ექსპლოატაციის ეფექტურობის შეფასება, ამორტიზებული ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული პროექტების მომზადება;

კ) წინადადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ ქონების თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემის შესახებ, რომლებიც კანონის შესაბამისად ექვემდებარება თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემას, ასევე, გადაცემის პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;

ლ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მიწის რესურსების მართვა, კონტროლი მიწის გამოყენებისა და სარგებლობის წესების დაცვაზე;

მ) მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, სტიქიური უბედურებებისა და ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში მოსახლეობის დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;

ნ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მასალების მომზადება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვისათვის კონკურსის და/ან აუქციონის ჩასატარებლად, მათი შესაბამის კომისიაზე განხილვის მიზნით;

ო) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების პროექტების მომზადება;

პ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტრიფიკაციის, გაზმომარაგების, კანალიზაციისა და წყალმომარაგების სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და მონიტორინგი მათ განხორციელებაზე;

ჟ) შიდა სარგებლობის გზების, ტროტუარების, ხიდების, გვირაბების, მდინარეთა ჯებირების და სხვა საინჟინრო ნაგებობათა შეკეთებისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა;

რ) დასახლებებში გარე განათების, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ს) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის და კომუნალური მეურნეობის მართვა, შესაბამის ობიექტთა მოვლა-პატრონობა;

ტ) მონაწილეობის მიღება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში;

უ) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა;

ფ) ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-განვითარების ხელშეწყობა;

ქ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებათა განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულება;.

ღ) მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში;

ყ) მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება და შესაბამისი აქტის მომზადება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილება;

ბ) არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება;

გ) ტურიზმის განყოფილება.

მუხლი 5. სამსახურის უფროსი

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტისა.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

გ) ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;

დ) ქმნის სამსახურის თანამშრომლისათვის მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის აუცილებელ პირობებს;

ე) წარუდგენს გამგებელს წერილობით წინადადებებს მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის, გამგებლის სამართლებრივი აქტებით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

თ) სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს გამგებლის დავალებით ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

ი) სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე, საკრებულოს წინაშე.

მუხლი 6. განყოფილების უფროსი

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ”ქვეპუნქტისა;

2. განყოფილების უფროსი:

ა) ახორციელებს განყოფილებისა და განყოფილების მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) პასუხს აგებს განყოფილებისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) წინამდებარე დებულებით განსაზღვრული განყოფილების ძირითადი მიმართულების შესაბამისად, შეიმუშავებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებას განყოფილების მოხელეთა შორის ფუნქციათა განაწილების შესახებ;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილების უფლება-მოვალეობა

1. ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;

ბ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შემუშავებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს;

გ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციების შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

დ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას ეკონომიკური განვითარების მიზნით, ინვესტიციების დაგეგმვის, ინვესტორებთან თანამშრომლობის, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე;

ე) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას;

ვ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და წარდგენას შესაბამის სამსახურებში;

ზ) ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის ქონების დაცვაზე, მოვლა-პატრონობაზე, მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვაზე;

მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულებას.

თ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 8. არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფლება-მოვალეობა

1. არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვას;

ბ) დასახლებათა განაშენიანების რეგულირებისა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებას;

გ) მუნიციპალიტეტის დაკვეთით განსახორციელებელი პროექტების შემუშავებასა და მშენებლობის კოორდინაციას;

დ) მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავებას;

ე) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს;

ვ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 9. ტურიზმის განყოფილების უფლება-მოვალეობა

1. ტურიზმის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებასა და ხელშეწყობას;

ბ) ტურისტული საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქციის მომზადებასა და გავრცელებას;

გ) ტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოებასა და განვითარებას, ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;

დ) ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიებების გატარებას;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 10. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის წესი

სამსახურის საჯარო მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტისა.

მუხლი 11. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

ა) წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადებები სამსახურის საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;

ბ) მიიღონ მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები და პირობები;

გ) იხელმძღვანელონ მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, კანონმდებლობით, საინფორმაციო თუ სხვა მასალებით;

დ) დააყენონ სამსახურის უფროსის წინაშე საკითხი მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) ისარგებლონ საინფორმაციო-საკონომუნიკაციო ტექნიკით და სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ისარგებლონ კუთვნილი შვებულებით, ასევე შვებულებით ანაზღაურების გარეშე;

ზ) ისარგებლონ სხვა შესაბამისი სიკეთით, რაც დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები მოვალენი არიან:

ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელის დავალებები;

გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

დ) იმუშაონ შესაბამისი პროფესიული დონის ასამაღლებლად;

ე) შეასრულონ გამგეობის შინაგანაწესის მოთხოვნები;

ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკონომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახის ქონებას.

მუხლი 12. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს მეშვეობით.